

ტონერიანი კარტრიჯების და სტეპლერის ტყვიების ელექტრონული ტენდერის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ სატენდერო კომისიის
სხდომის
ოქმი #01

ქ. თბილისი

15 აგვისტო 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- ა) ვანო ბოლქვაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი;
- ბ) ბექან თურმანიძე - სატენდერო კომისიის წევრი, სკოლის ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი;
- გ) მზია გოდერძიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სკოლის მთავარი ბუღალტერი;
- დ) აპარატის წევრი - ვასილ ჭიჭაღუა (შესყიდვების მთავარი კონსულტანტი)
- ე) სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო კომისიის წევრი, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის უფროსი - ივანე რევიშვილი - შვებულებაში ყოფნის გამო.

დღის წესრიგი:

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მიერ ტონერიანი კარტრიჯების (CPV30125100) და სტეპლერის ტყვიების (CPV30124400) შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების და ფასის კლების ბიჯის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ვასილ ჭიჭაღუამ კომისიის წევრებს წარუდგინა, სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებით 1195.00 (ერთი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და ფასის კლების ბიჯის ოდენობით 15 (თხუთმეტი) ლარი. სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციის, შესყიდვის ობიექტის ღირებულების და ფასის კლების ბიჯის შესახებ. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მიერ ტონერიანი კარტრიჯების (CPV30125100) და სტეპლერის ტყვიების (CPV30124400) შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დადგინდეს ოდენობით 1195.00 (ერთი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და ფასის კლების ბიჯი, ოდენობით 15 (თხუთმეტი) ლარი.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს, ვასილ ჭიჭაღუას, ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე:

ვანო ბოლქვაძე -

კომისიის წევრები:

ბეჟან თურმანიძე -

მზია გოდერძიშვილი -

სხდომის მდივანი:

ვასილ ჭიჭაღუა -